5267/3-30/21 2 02062021

5267/3-30/21
02-06-2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც იცით, 2017 წლის მაისში შპს „ჯორჯიან მანგანეზში“ სპეციალური მმართველი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შუამდგომლობითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინიშნა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სპეციალური მმართველი დაინიშნა სალიცენზიო და სანებართვო პირობების დროული და თანმიმდევრული შესრულების უზრუნველსაყოფად. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სპეციალური მმართველი ყოველთვიურად წარუდგენს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სალიცენზიო და სანებართვო პირობების შესრულების ანგარიშს.
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მომაწოდოთ შესაბამის კითხვებზე სრულყოფილი ინფორმაცია:
1. სპეციალური მმართველის დანიშვნიდან დღემდე რა სარეაბილტაციო, სარეკულტივაციო და აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტის სალიცენზიო ტერიტორიაზე? გთხოვთ მოგვაწოდოთ დეტალური ანგარიში რუკაზე მონიშვნით, შესრულების თარიღების, ფართობის და კომპანიის მხრიდან გაწეული ხარჯის მითითებით.
2. სამინისტროსა და ,,ჯორჯიან მანგანეზს" შორის შემდგარი შეთანხმების შედეგად ლიცენზიისა და ნებართვის პირობების შესრულებისათვის სპეციალური მმართველის მიერ მომზადებული გეგმის შესრულებაზე სამინისტროს მონიტორინგის დეტალური ანგარიშები წლების მიხედვით.

წინასწარ გიხდით მადლობას,

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გიორგი ვაშაძე

საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7724/01
23/07/2021

7724-01-2-202107231052

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ გიორგი ვაშაძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2021 წლის 2 ივნისის N5267/3-30/21 წერილის პასუხად, რომელიც ეხება შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ, რომ შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი გეგმის მიხედვით, კომპანია ვალდებულია კომპანიის მიერ დამუშავებულ ფართობებზე განახორციელოს სარეკულტივაციო სამუშაოები წელიწადში არანაკლებ 50 ჰექტრის ოდენობით მათ სრულ ამოწურვამდე. ასევე, გეგმის მიხედვით, კომპანიის კოოპერატორების მიერ დამუშავებულ ფართობებზე უნდა განხორციელდეს სარეკულტივაციო სამუშაოები წელიწადში არანაკლებ 50 ჰექტრის ოდენობით მათ სრულ ამოწურვამდე. შესაბამისად, სასამართლოს მიერ დამტკიცებული 2020-2023 წლების გეგმის მიხედვით, ჯამში ყოველწლიურად 100 ჰა სარეკულტივაციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს. ამასთან, შპს „ჯორჯიან მანგანეზს", 2017 წლის 1 მაისიდან დღემდე, სამინისტროში წარმოდგენილი და შეთანხმებული აქვს რეკულტივაციის 3(სამი) პროექტი:

1.შუქრუთის მაღაროს „ვაკე-ტყის“ კარიერის რეკულტივაციის პროექტი. ფართობი 9,6ჰა. შეთანხმებულია - 28.12.2017.

2. მღვიმევის მაღაროს, „ესტოკადის მიმდებარე ტერიტორიის“ კარიერის რეკულტივაციის პროექტი. ფართობი 4,13ჰა. შეთანხმებულია- 28.12.2017.

3. წერეთლის მაღაროს „ბუხრაშვილების“ კარიერის რეკულტივაციის პროექტი. ფართობი 4,13ჰა. შეთანხმებულია - 28.12.2017.

გეგმის შესრულებაზე მონიტორინგთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველი ნიკოლოზ ჩიქოვანი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 8 მაისის განჩინების შესაბამისად, სასამართლოსა და სამინისტროში წარადგენს მის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ყოველთვიურ ანგარიშებს, რომლებიც მტკიცდება სასამართლოს

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-10447/21
"26" 07 2021 წ. ფურცლ. 23 (+ 2)

მიერ. ამასთან, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 2017 წლის დეკემბრიდან აღარ არის უფლებამოსილი განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (წიაღით სარგებლობის) ლიცენზიების პირობების სახელმწიფო კონტროლი. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - წიაღის ეროვნულ სააგენტო წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (წიაღით სარგებლობის) ლიცენზიების პირობების შესრულებაზე მაკონტროლებელ ადმინისტრაციულ ორგანოს.

თქვენი წერილის პირველი პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სპეციალური მმართველის მიერ სამინისტროში წარმოდგენილ ყოველთვიურ ანგარიშებს, სადაც მოცემულია ინფორმაცია შესრულებული სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ.

იხ. დანართი

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე